ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3664830

ნომერი: AR1554163

თარიღი : 02.11.2017

გაცემის თარიღი : 07.11.2017

გაცნობის თარიღი : 08.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა სიორდია პ/ნ 09001000130
- სანზონის 10ა,ბ-4

ნომენკლატურა :

- საწყობი
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "საქცივპროდუქტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 402034008
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ჭილაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60002004842

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 14895.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 19475.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 23028.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 14578.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 8450.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 17.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 15.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.8

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 2 ნოემბრის AR1554163 განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1.საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა. -> .კონსტრუქციული დასკვნის pdf ფაილი.: არმოდგენილი მომიჯნავე შენობა-ნაგებიბის კონსტრუქციული დასკვნა არ შეესაბამება არსებულ მდგომარეობას, წარმოსადგენია კონსტრუქციული დასკვნა, მომიჯნავე შენობებთან სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების ზეგავლენის თაობაზე.

2.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები: დაფიქსირებული მაჩვენებლები შეასწორეთ ხარვეზების შესაბამისად.

3.დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : ფოტომასალიდან ირკვევ რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობები არ წარმოადგენს 1 სართულიანს, შესაბამისად შეასწორეთ საკადასტრო გეგმა და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

4.ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.: დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის საექსპერტო შეფასების დადებითი ან უარყოფითი საბოლოო დასკვნა. ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს. ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.